V

ხელშეკრულება №01/10/29
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი, „27 ოქტომბერი, 2011 წელი

ერთის მხრივ ქ. თბილისის მერიის სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი" (შემდგომში – შემსყიდველი), ცენტრის უფროსის – გიორგი თოდუას სახით და მეორეს მხრივ, შპს „ბონტო" (შემდგომში – მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის მერაბ იაკობიძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია ქ. თბილისის მერიის სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი"-სათვის (CPV 30100000) საოფისე მანქანების, კომპიუტერების, პრინტერებისა და აქსესუარების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 ხელშეკრულების ობიექტია:

დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეული	ჯამი
ქაღალდი A4 ფორმატის	შეკვრა	145	7.00	1015.00
კალკულატორი	ცალი	11	8.00	88.00
კორექტორი ლენტა	ცალი	50	1.80	90.00
დაფის მარკერი	ცალი	23	1.00	23.00
ორგანაიზერი (მაგიდის ნაკრები) დიდი	ცალი	4	26.00	104.00
ორგანაიზერი (მაგიდის ნაკრები) პატარა	ცალი	4	12.00	48.00
პაპკა 60 ფაილით	ცალი	14	5.00	70.00
სათლელი	ცალი	20	0.30	6.00
საშლელი	ცალი	50	0.20	10.00
საწერი კალამი ლურჯი	ცალი	300	0.15	45.00
სკოჩი დიდი	ცალი	200	1.60	320.00
სკოჩი პატარა	ცალი	20	0.20	4.00
სკრეპი პატარა	ცალი	60	0.50	30.00
სტეპლერი დიდი	ცალი	5	3.90	19.50
სწრაფშამკერი პლასტიკური რუხი	ცალი	105	0.50	52.50
ტუქსტის მარკერი	ცალი	28	1.00	28.00
კარტრიჯი XEROX WORK CENTRE3210 (ორმაგი მოცულობის)	ცალი	1	245.00	245.00
კარტრიჯი XEROX PHASER 3100 MFP	ცალი	1	176.00	176.00
კარტრიჯი CANON F1S1300	ცალი	1	72.00	72.00
კარტრიჯი CANON i-SENSYS MF 4570dn	ცალი	2	86.00	172.00
კარტრიჯი HP Laser Jet 1005,1010,1018,1020,	ცალი	8	95.00	760.00
ჯამი				3378.00

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განსაზღვრულია ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 3378.00 (სამიათასსამასსამოცდათვრამეტი) ლარს , ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების (დ.ღ.გ. და სხვა) ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობასთან შესაბამისობაში და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 „მიმწოდებელი" ვალდებულია ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში მიაწოდოს „შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი

4.2 საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ქერჩის ქ. №8

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირს წარმოადგენს: ცენტრის ლოგისტიკის განყოფილების უფროსი ბადრი გვარამია. (პირადი ნომერი 35001013414)

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან, საქონლის მოწოდებიდან, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღისა.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

6.4 ანაზღაურების ადგილია ქ. თბილისი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
- მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- გონივრულ ვადებში აცნობოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდების დროს აღმოჩენილი რაიმე წუნის შესახებ;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შეუსრულებლობისთვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ნორმები.

8.5 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0.1 პროცენტის ოდენობით.

8.6 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დროულად გადაუხდელი თანხის 0.1 პროცენტის ოდენობით. ასეთი უფლებით მიმწოდებელმა შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას.

8.7 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.4 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირები.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ქ. თბილისის მერიის სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი"	შპს "ბონტო"
მის: ქ. თბილისი, ქერჩის ქ. №8 ს/კოდი: 202465992 სს „ლიბერთი ბანკის" ცენტრალური ფილიალი კოდი: LBRTGE22 ა/ა GE12LB0121198218581000	მის: ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის ქ. №50ა ს/კოდი: 404867220 სს „პროკრედიტ ბანკი" კოდი MIBGGE22 ა/ა GE42PC0253600100006083
უფროსი გ. ითდუა	დირექტორი მ. იაკობიძე